# საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის გაძლიერების პროექტი

# Project: “Strengthening the Committee on European Integration of the Parliament of Georgia”




საქართველოს პარლამენტი
თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ.: (995 32) 28 17 08
ტელ/ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ. ფოსტა: europa@parliament.ge



Institute for European Studies
of Tbilisi State University

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

“პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. ფრიდრიხ ებერტის ფონდი პასუხისმგებელი არ არის პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციასა და შეხედულებებზე. პუბლიკაციაში მოცემული თითოეული სტატია გამოხატავს მხოლოდ ავტორის მოსაზრებებს”.

სარედაქციო კოლეგია:
ირინა ცერცვაძე
ნინო ფარსადანიშვილი

მთავარი რედაქტორები:
ეკატერინე ქარდავა
ნინო ლაპიაშვილი

თბილისი, 2012 წელი

Project has been implemented with support of Friedrich Ebert Stiftung. The contents of this publication are the sole responsibility of the authors and can in no way be taken to reflect the views of Friedrich Ebert Stiftung.

Board of Editors:
IRINA TSERTSVADZE
NINO PARSADANISHVILI

Editors in Chief:
EKATERINE KARDAVA
NINO LAPIASHVILI

Tbilisi 2012



## ევროინტეგრაციის კომიტეტის გაძლიერების პროექტი – მისი მნიშვნელობა პარლამენტისათვის

ქართულ–ევროპული ურთიერთობები მნიშვნელოვან სამართლებრივ, პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ ფაზაშია. 2010 წელს დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებაზე. 2011 წლის მიწურულს კი გამოცხადდა მოლაპარაკებების დაწყება ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმების თაობაზე. ყოველივეს წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაო, რაშიც საკანონმდებლო პროცესიც იგულისხმებოდა. მოლაპარაკების დაწყების პირობა იყო კონკურენციის, სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სფეროში სამოქმედო სტრატეგიების შემუშავება და მათი განხორციელების გზების დასახვა.

სტრატეგიის შემუშავებას მოჰყვა ზემოაღნიშნულ სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან და პრინციპებთან მიახლოებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტიც. მთავრობის მხრიდან წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების საპარლამენტო განხილვები მოითხოვდა მნიშვნელოვან ექსპერტულ დახმარებას. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში დაიბადა იდეა, მოზიდულიყო დამატებითი ინტელექტუალური რესურსები ამ საკანონმდებლო ცვლილებების სრულფასოვანი განხილვისათვის.

ამ მიზნით გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტს შორის, რომელიც გულისხმობდა კომიტეტის უზრუნველყოფას აკადემიური საექსპერტო დახმარებით. აღნიშნული იდეა მხარდაჭერილი იქნა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ.

პროექტის ფარგლებში, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის დახმარებით ტარდებოდა კომიტეტის გაფართოებული სხდომები, კომიტეტისა და ინსტიტუტის

## IMPORTANCE OF THE PROJECT – "STRENGTHENING OF THE COMMITTEE ON EUROPEAN INTEGRATION" – FOR THE PARLIAMENT OF GEORGIA




დავით დარჩიაშვილი
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

DAVIT DARCHIASHVILI
Chair of the Committee on European Integration of the Parliament of Georgia


Georgia-EU relations have entered into the important legal, political and institutional phase. In 2010 negotiations between Georgia and EU about Association Agreement were launched. In 2011 it was officially declared that negotiations upon Deep and Comprehensive Free Trade Agreement took its start. This process was the result of preliminary preparatory works which, inter alia, included lawmaking process. The main condition before starting negotiations was to work out the state strategy for Food Safety and Competition policy development.

The state strategy was accompanied by initiative of modification of relevant legislation and its approximation to EU aquis communitaire. Consideration of legislative changes suggested by the Government reveled to the Parliament the great need of assistance in terms of expertise. As a consequence, the Committee on European Integration developed the idea of bringing and attracting outside intellectual resources for enhancing comprehensive consideration of the proposed bill of changes.

To reach this goal, the Memorandum of Understanding was concluded between the Committee on European Integration of the Parliament of Georgia and TSU Institute for European Studies mostly aiming at strengthening the Com-

ექსპერტების ერთობლივი სამუშაო შეხვედრები და შეხვედრები აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

შეიძლება ითქვას, რომ კომიტეტისათვის პროექტი მნიშვნელოვანი იყო რამოდენიმე მიმართულებით:

- გაჩნდა შესაძლებლობა, რომ გაუმჯობესებულიყო შიდა ინტელექტუალური რესურსების მომზადების დონე და ინფორმირების ხარისხი კონკურენციის, სურსათის უვნებლობისა და პროდუქციის უსაფრთხოების საკითხებზე;
- დამყარდა ურთიერთობა ევროკავშირის საკითხებში სპეციალიზირებული აკადემიური წრის წარმომადგენლებთან და საფუძველი ჩაეყარა ნაყოფიერ თანამშრომლობას;
- პროექტის ფარგლებში კომიტეტმა ხელი შეუწყო არასამთავრობო სექტორისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დიალოგს და შეიქმნა კონკურენციის, სურსათის უვნებლობისა და პროდუქციის უსაფრთხოების საკითხებში სამომავლო ინსტიტუციური თანამშრომლობის პერსპექტივა;

მთლიანობაში, პროექტმა უწყებათაშორისი და საზოგადოებასთან თანამშრომლობის კარგი პრეცედენტი შექმნა. ვიმედოვნებთ, რომ იგი განმეორდება და შემდგომი თანამშრომლობის გაფართოებას შეუწყობს ხელს.

mittee with additional academic expertise. The idea was financially supported by Friedrich Ebert Stiftung.

Enlarged Council meetings, the joint working meeting with participation of experts of both the Parliament and the Institute, as well as the meetings with representatives of the Government of Georgia were planned and delivered with support of the TSU Institute for European Studies.

It should be stressed that the project was important for the Committee mostly considering number of reasons:

- It has given opportunity for the improvement of internal intellectual resources through giving more information about Competition and Food Safety standards.
- The practice of effective cooperation with relevant representatives of academia was established which gave the possibility for enhancing the smooth cooperation in the field.
- Within the framework of the project the Committee enhanced the dialogue between non-Governmental sector and the representatives of supreme executive power about the issues of Competition and Food Safety.

In overall, the project has established good practices of cooperation on the level of interagency relations and general public. We do hope that the practice will be continued for deepening further cooperation perspectives.

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი დაარსდა 2007 წელს ევროკავშირის TACIS-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანადგომით.

იმავე წელს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების პროფესორებისა და ექსპერტების მონაწილეობით, კერძოდ, გრენობლის პიერ მენდესის საფრანგეთის უნივერსიტეტის, ასევე ათენის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბერძნული უნივერსიტეტისა და ავსტრიული ინსბრუკის საჯარო რეფორმების ცენტრისგან შემდგარი კონსორციუმის ჩართულობით შემუშავდა ამიერკავკასიაში პირველი ინტერდისციპლინური ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში. პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა როგორც აღნიშნულ სფეროში ევროპის მოწინავე უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილებები, ასევე ბოლონიის პროცესის სტანდარტები და მიღწევები. ინგლისურენოვანი მაგისტრატურა ევროპისმცოდნეობაში უნიკალურია იმდენად, რამდენადაც როგორც ინტერდისციპლინური პროგრამა იგი კონცეპტუალურად



ნინო ლაპიაშვილი
თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი; პროექტის კოორდინატორი; თსუ–ს მოწვეული ლექტორი

Nino Lapiashvili
Director of the Institute for European Studies, Coordinator of the Project, Invited Professor at TSU

TSU Institute for European Studies was established in 2007 under TACIS programme with generous financial support of the EU and in kind assistance of EU Delegation to Georgia.

The idea was to establish the first interdisciplinary, English taught Master's Program in European Studies in South Caucasus Region. The idea has been implemented with assistance of consortium composed of Professors and experts linked to European universities, in particular University Pierre Mendés France of Grenoble, Panteion University of

ეფუძნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხ - ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ ფაკულტეტებს, რათა სტუდენტებმა შეძლონ ყოვლისმომცველი განათლების მიღება ევროკავშირის შესახებ. სწორედ, ეს გახლდათ ევროკავშირის ამ უპრეცენდენტო პროექტის იდეა და მთავარი მიზანი, ხოლო მისმა წარმატებით განხორციელებამ ხელი შეუწყო იმას, რომ დაარსებისთანავე 2007 წელს ინსტიტუტმა მიიღო მაგისტრანტების პირველი ნაკადი.

ევროკავშირის ძალისხმევამ, ინგლისურენოვანი პროგრამის უნიკალურმა სტრუქტურამ და შინაარსმა, მოწვეულ პროფესორთა პროფესიონალიზმმა, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მაღალმა დონემ და მათი დასაქმების შედეგებმა დიდად განსაზღვრა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის, როგორც საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის წარმატებულობის ხარისხი.

ამასთან, ინსტიტუტმა წარმატებით დანერგა საჯარო შეხვედრების პრაქტიკა და ამით შესაძლებლობა გაუხსნა არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ ფართო საზოგადოებას იმისათვის, რომ ევროინტეგრაციის პროცესში უშუალოდ ჩართულ პირებთან, მათ შორის პოლიტიკოსებთან, საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან და უცხოური აკადემიური წრეების გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად - საჯარო სივრცეში განეხილათ აქტუალური თეორიული თუ პრაქტიკული საკითხები, ყველა მათთვის საინტერესო კითხვა გაეჟღერებინათ და მოესმინათ პასუხები.

ამ ყველაფერმა და ზოგადად თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის აქტიურმა საქმიანობამ განაპირობა მნიშვნელოვანი გამოცდილების დაგროვება, რამაც ხელი შეუწყო მრავალი სტრატეგიული პარტნიორის შეძენას საზღვარგარეთ და მათთან ერთად ბევრი აკადემიური თვალსაზრისით ღირებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებას. სწორედ, ამ გამოცდილების და ექსპერტული ცოდნის საჯარო სივრცეში გაზიარების იდეა წარმოიშვა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, რაც დაგვირგვინდა 2011 წლის 1 თებერვალს ინსტიტუტსა და კომიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობდა იმას, რომ ერთის მხრივ, ინსტიტუტის ექსპერტები გააძლიერებდნენ კომიტეტს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის წარმართვაში, ხოლო თავის მხრივ, კომიტეტი ინსტიტუტის აკადემიურ წრეებს უდიდეს პრაქტიკულ გამოცდილებას გაუზიარებდა ამ მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში, რაც ასე წარმატებულად ვერ წარიმართებოდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის აქტიური მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო. უდიდეს მადლობას ვუხდი მათ და პროექტში ჩართულ ყველა ადამიანს, ვინც შესაძლებელი გახადა, რომ საინტერესო იდეა წარმატებულ რეალობად გადაქცეულიყო.

Social and Political Sciences of Athens (Greece), Center for Public Reforms, Innsbruck (Austria). The best practices of EU Universities acting in relevant fields as well as standards and achievements of Bologna process were considered during the program shaping process.

Due to its interdisciplinary format the English taught Master's Program in European Studies is unique as it is based on four faculties of TSU – Faculty of Business and Economics, Faculty of Law, Faculty of Social and Political Sciences, and Faculty of Humanities. This type of interdisciplinary approach aims at giving the students possibility to gain comprehensive knowledge about the European Union. This was the key idea and purpose of the EU-funded project establishing MA Program in European Studies, while its successful implementation ensured the admission of first intake students already in 2007.

Active operation of TSU Institute for European Studies has lead to gaining great experience and enhanced cooperation with number of local and international partners which resulted in impressive number of educational and scientific projects. Later on, the idea of sharing experience and introducing expert potential to wider public developed into initiative of conclusion of Memorandum of Understanding between TSU Institute for European Studies and the Committee on European Integration of the Parliament of Georgia on February 1, 2011. Memorandum of Understanding primarily aimed at strengthening the Committee with academic expertise from the side of TSU Institute for European Studies; while the Committee made commitment to exchange practical experience with relevant academics attached to the Institute. It should be stressed that it is indeed tremendous step towards Public-Private Partnership and eventually towards Georgia's democratic development what would never take place without financial support of Friedrich Ebert Stiftung. I would like to express my sincere gratitude towards them and all persons involved in the project who has taken part in turning the interesting idea into reality.



# პროექტის „ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის გაძლიერება“ დაბადება, განვითარება მნიშვნელობა

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი შეიქმნა 2004 წელს. კომიტეტის ფუნქციაა კანონპროექტების ექსპერტიზა, ჰარმონიზაცია და მათი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. აგრეთვე, - მთავრობის კონტროლი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით. 2008 წლიდან საქართველო გახდა ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ბენეფიციარი, რამაც მოითხოვა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მეტად გაღრმავებული ფორმატი მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის, ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სფეროში. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) პრიორიტეტულ საკითხებს წარმოადგენდა კონკურენციის პოლიტიკის შემუშავება და სურსათის უვნებლობის ახალი სტანდარტების დანერგვა საქართველოში. 2009 წელს შემუშავდა და დამტკიცდა სტრატეგიები აღნიშნულ სფეროებში, ხოლო 2011 წელს გაიხსნა ოფიციალური დიალოგი ევროკავშირთან. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ახალი კანონპროექტები და წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი გახდა ის ძირითადი სუბიექტი, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ექსპერტიზა კანონპროექტების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

კონკურენციის პოლიტიკისა და სურსათის უვნებლობის სფეროს ეფექტური რეგულირება წარმოადგენს როგორც საქართველოს ეკონომიკის წარმოების, ასევე, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების გარანტს. ამიტომაც პასუხისმგებლობა აღნიშნული კანონპროექტების მიღების მიმართ საკმაოდ დიდია. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საკანონმდებლო საქმიანობაში ჩაერთო როგორც ექსპერტები, ასევე, სამოქალაქო სექტორი, რათა მაქსიმალურად გამჭვირვალე რეჟიმში ერთობლივი მუშაობის პირობებში განხილულიყო თითოეული სამართლებრივი დებულება.
გამომდინარე იქიდან, რომ კომიტეტი საჭიროებდა ექ-

# IMPORTANCE, DEVELOPMENT AND GENESIS OF THE PROJECT "STRENGTHENING THE COMMITTEE ON EUROPEAN INTEGRATION"

ეკატერინე ქარდავა
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მთვარი სპეციალისტი; კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; პროექტის ექსპერტი საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მხრიდან
EKATERINE KARDAVA
Chief Specialist of the Committee on European Integration; Assistant Professor at Caucasus University; Expert of the Project from the Parliament of Georgia



The Committee on European Integration of the Parliament of Georgia was established in 2004. The function of the committee is the expertise of legislative bills, their harmonization and approximation to EU standards. At the same time, the Committee enjoys supervisory authority upon Government of Georgia in order to oversight the European Neighborhood Policy Action Plan Implementation process. From 2008 Georgia has become beneficiary of European Eastern Partnership Policy, what itself caused demand on deepening relations between EU and Georgia in a number of spheres mostly focusing on Food Safety and Competition. Handling out of Georgia's Competition Policy and establishment of food safety standards were falling among primary issues under Deep and Comprehensive Free Trade Agreement. In 2009 State strategies about the issues were worked out and approved while in 2011 official dialogue with EU was launched. Government of Georgia has handled out new legislative bills and brought them before the Parliament for the consideration. The Committee on European Integration has became the key institution responsible for the expertise of the suggested new bills and examination of their compliance with EU standards.

Effective regulation of Competition policy and Food Safety standards represents the guarantee of not only Georgia's sustainable economic development but also it maintains the well being of Georgian population. This is the reason, why an approval of the bills was so crucially important.

სპერტულ დახმარებას, მომზადდა პროექტი სახელწოდებით „ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის გაძლიერება.“ ის წარედგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტს ექსპერტული დახმარებისთვის და ფრიდრიხ ებერტის ფონდს ფინანსური მხარდაჭერისთვის. 2011 წელს დაიდო მემორანდუმები ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტს, ასევე, - ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და ფრიდრიხ ებერტის ფონდს შორის.

*პროექტმა 2011 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა შემდეგი საქმიანობები:*

- თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტებისა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის იურისტების მიერ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ კანონპროექტების ექსპერტიზა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით;
- შეხვედრები კანონპროექტების ავტორებთან, პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა გუნდთან, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან;
- დიალოგი სამოქალაქო სექტორთან;
- საკომიტეტო მოსმენების ჩატარება და საქართველოს მთავრობის მხრიდან ინფორმაციების მოსმენა;
- საინფორმაციო კამპანიის განხორციელება;

*პროექტის ჯგუფად განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობა:*

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ - თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი; პროექტის კოორდინატორი; თსუ–ს მოწვეული ლექტორი;
ᲜᲘᲜᲝ ᲤᲐᲠᲡᲐᲓᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ - თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი; პროექტის კოორდინატორი;
ᲘᲠᲘᲜᲐ ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე; პროექტის კოორდინატორი;
ᲜᲐᲗᲘᲐ ᲚᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ - თსუ-ს მოწვეული ლექტორი; კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; პროექტის ექსპერტი თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მხრიდან;
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲐᲑᲓᲐᲚᲐᲫᲔ - თსუ-ს მოწვეული ლექტორი; შავი ზღვის უნივერსიტეტის ლექტორი; პროექტის ექსპერტი თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მხრიდან;
ᲠᲔᲕᲐᲖ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის უფროსი; თსუ მოწვეული ლექტორი; პროექტის ექსპერტი საქარ-

Bearing in mind the situation and overall importance of the approval of new bills the committee on European Integration has made a decision to open its doors for outside expertise including civil society for making working process more transparent and aiming at consideration of each legal norm in conjunction and with participation of all interested parities.

Considering the fact that the Committee was in need of expert assistance, consequently the project named as “Strengthening the Committee on European Integration” was developed. The project was suggested to the Institute for European Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University for providing assistance in terms of expertise and to the Friedrich Ebert Stiftung for financial support. In 2011 Memorandum of Understanding was concluded between the Committee on European Integration of the Parliament of Georgia and TSU Institute for European Studies on the one hand and between the Committee on European Integration of the Parliament of Georgia and Friedrich Ebert Stiftung on the other.

*Project officially was launched in September 2011 and the following activities were foreseen:*

- To provide expertise of Georgian legislation on Competition and Georgian Code on “Food/Animal Feed Safety, Veterinary and Plant Protection”, for the purposes of its compliance with EU standards and norms. This activity was jointly undertaken by the experts representing TSU Institute for European Studies and the Committee on European Integration of the Parliament of Georgia.
- To organize meetings with initiators of legislative bills, members of Prime-Minister’s group of advisors, representatives of competition and state procurement agency and state agency for food safety.
- To launch the dialogue with civil society.
- To organize the Committee hearing about law implementation process with participation of representatives of Government.
- To Carry out Information Campaign.

*The project team was represented by the following persons:*

NINO LAPIASHVILI – Director of the TSU Institute for European Studies; Invited Professor at TSU; Project Coordinator;
NINO PARSADANISHVILI – Executive Secretary of the TSU Institute for European Studies; Project Coordinator;
IRINA TSERTSVADZE – Assistant to the Chair of the Committee on European Integration of the Parliament of Georgia; Project Coordinator;

თველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მხრიდან;
ეკატერინე ქარდავა - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მთავარი სპეციალისტი; კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; პროექტის ექსპერტი საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მხრიდან.



ნინო ფარსადანიშვილი
თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი; პროექტის კოორდინატორი

NINO PARSADANISHVILI
Executive Secretary of the TSU Institute for European Studies; Project Coordinator

NATIA LAPIASHVILI – Invited Professor at TSU; Associated Professor at Caucasus University; Expert of the Project from TSU Institute for European Studies;
MERAB ABDALADZE – Invited Professor at TSU; Invited Professor at Black Sea University; Expert of the Project from TSU Institute for European Studies;
REVAZ CHXEIDZE – Head of Office of the Committee on European Integration of the Parliament of Georgia, Invited Professor at TSU; Expert of the Project from the Parliament of Georgia;
EKATERINE KARDAVA – Chief Specialist of the Committee on European Integration of the Parliament of Georgia; Assistant Professor at Caucasus University, Expert of the Project from the Parliament of Georgia.

## ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომები და საკომიტეტო მოსმენები

პროექტის ფარგლებში გაიმართა 2 გაფართოებული საკომიტეტო სხდომა, რომელიც ეხებოდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის" და მისგან გამომდინარე კანონპროექტების; „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" და მისგან გამომდინარე კანონპროექტების და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ საქართველოს კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონპროექტების განხილვას.

გაფართოებულ საკომიტეტო მოსმენებზე, რომლებიც გაიმართა 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მოწვეულები იყვნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩევლები ვახტანგ ლეჟავა და თამარ კოვზირიძე, პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის წევრები, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელობა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, სხდომები გაშუქდა პრესის მიერ.

სხდომებზე წარმოდგენილ იქნა პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული შენიშვნები, რომლებიც მომზადებულ იქნა პროექტში მონაწილე თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტისა და ევროინტეგრაციის კომიტეტის ექსპერტების მიერ. სხდომების მიმდინარეობისას გაიმართა სამმხრივი დისკუსია - აღმასრულებელი ხე-

## THE COUNCIL MEETINGS AND THE ENLARGED COUNCIL MEETINGS AT THE COMMITTEE ON EUROPEAN INTEGRATION

რევაზ ჩხეიძე
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის უფროსი; თსუ-ს მოწვეული ლექტორი; პროექტის ექსპერტი საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მხრიდან

Revaz Chkheidze
Head of Office of the Committee on European Integration of the Parliament of Georgia, Invited Professor at TSU; Expert of the Project from the Parliament of Georgia



Within the framework of the project two enlarged Council meetings have been organized. Meetings were focused on Free Trade and Competition, as well as Food Safety and relevant bills under the discussion.

Key Advisors to the Prime Minister - Ms. Tamar Kovziridze and Mr. Vakhtang Lezava together with other representatives from the group of advisers to Prime-Minister, members of Free Trade and Competition Agency as well as representatives of non-Governmental institutions were present on enlarged Council meetings which took place during November-December, 2011. Information about meetings was disseminated through mass-media.

The comments and suggestions handled out due to joint

ლისუფლების, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის. დისკუსია შეეხო კანონპროექტის სიახლეებს, ახალ მიდგომებს, მოქმედების შესაძლო შედეგებს, როგორც ზოგად პრინციპებს, ასევე კონკრეტულ საკითხებს კონკურენციის, სურსათის უვნებლობისა და პროდუქციის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

კანონპროექტების მიღების და მათი, როგორც კანონების ძალაში შესვლის შემდეგ, გაფართოებული სხდომა გაიმართა 2012 წლის მაისში. სხდომაზე მოწვეულ იყვნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი ვახტანგ ლეჟავა, პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის წევრები, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელები, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

აღნიშნული სხდომისათვის მომზადდა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტისა და თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი სასაუბრო მასალა და კითხვები, რომელიც შეეხებოდა კონკურენციის, სურსათის უვნებლობისა და პროდუქციის უსაფრთხოების უკვე ძალაში შესული კანონმდებლობის მოქმედების პირველ შედეგებს, შესაძლო ხარვეზებს, დამატებით შენიშვნებს. სხდომაზე ასევე წარმოდგენილ იქნა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნები აღნიშნულ კანონებთან დაკავშირებით. გადაწყდა, რომ გაგრძელდება თანამშრომლობა აღმასრულებელ ხელისუფლებას, ევროინტეგრაციის კომიტეტსა და არასამთავრობოებს შორის კონკურენციის, სურსათის უვნებლობისა და პროდუქციის უსაფრთხოების კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით.

work of experts from TSU Institute for European Studies and the Committee on European Integration of the Parliament of Georgia were presented during enlarged Council meetings. Meetings were based on tripartite discussion between Executive-Legislative Power and non-Governmental sector. Discussion touched upon the novelties of draft law, new approaches enshrined within it and possible consequences of its implementation. Parties went through not only general principles established by the bill, but the very details about Competition and Food Safety standards.

In May 2012 another enlarged Council meeting took place as a consequence of adoption and implementation of the bills as laws. Key advisor to Prime Minister Mr. Vakhtang Lezava, representatives of the group of advisors to Prime Minister, State Procurement Agency, heads of national Food Agency and other non-Governmental organizations were present on meetings.

Experts of TSU Institute for European Studies and Committee on European Integration of the Parliament of Georgia handled out questions and materials about first results of implementation of newly adopted laws related to Food Safety and Competition policy, the possible gaps and additional comments. A number of suggestions presented by other non-Governmental organizations were also discussed on the meeting. As a result, the parties agreed upon further cooperation between executive bodies, Committee on European Integration and the non-Governmental organizations for enhancing sophistication of Competition and Food Safety legislation.





## ინფორმაციული გაძლიერება – ბუკლეტი სურსათის უვნებლობის საკითხებზე

ფრიდრიხ ებერტის პროექტის ფარგლებში „ევროინტეგრაციის კომიტეტის გაძლიერება“ მომზადდა ბუკლეტი სურსათის უვნებლობის საკითხზე „უვნებელი სურსათი - გზა ევროპისკენ“. აღნიშნული ბუკლეტის მომზადებაში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ევროინტეგრაციის კომიტეტის, ასევე თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტები.

საწყის ეტაპზე შესწავლილ იქნა თემატური და განსაკუთრებით სურსათის უვნებლობის საკითხზე ბუკლეტების შინაარსობრივი და გარეგნული ფორმის საერთაშორისო პრაქტიკა, ერთობლივად განისაზღვრა ბუკლეტის შემცველი ინფორმაციის ფორმა და მოცულობა.

ბუკლეტი მომზადდა კითხვა პასუხის სახით. შერჩეულ იქნა ინფორმაცია, რომელსაც უნდა ჰქონოდა მაქსიმალურად პრაქტიკული მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობისა თუ მეწარმეებისათვის. ბუკლეტში შევიდა 7 კითხვა შესაბამისი პასუხებით, რომლებიც ეხებოდა პროდუქციის უშუალო მეწარმეს ან/და დისტრიბუტორს, ნებართვის მიღების პროცედურებს, სურსათის განადგურების საკითხებს, შეღავათებს მცირე ბიზნეს–ოპერატორებისათვის, სურსათის უსაფრთხოების სფეროს განმსაზღვრელ სახელმწიფო ორგანოებს, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს და სიახლეებს ინსპექტირებასთან დაკავშირებით.

ბუკლეტი განსაზღვრული იყო დასარიგებლად სოფლის მოსახლეობისა და სურსათის მწარმოებლებისათვის. ბუკლეტები გადაეცა თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებს რეგიონებში დასარიგებლად და გასავრცელებლად.

## RAISING PUBLIC AWARENESS – BOOKLET ON FOOD SAFETY ISSUES



ირინა ცერცვაძე
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე; პროექტის კოორდინატორი

IRINA TSERTSVADZE
Assistant to the Chair of the Committee on European Integration of the Parliament of Georgia; Project Coordinator

The booklet "Safe Food – the Way towards Europe" was prepared within the framework of the project "Strengthening the Committee on European Integration." The booklet was elaborated by the experts of TSU Institute for European Studies and the Committee on European Integration.

At first stage a research focusing on the analysis of already published food safety booklets had been conducted to examine international practice about content and design for joint determination of the key issues to be included in booklet.

The Q&A (Questions and Answers) format was chosen to shape the booklet. Special emphasis was made on the information which is of primary importance for villagers and farmers. Booklet consisted of 7 questions with relevant answers about acquiring permission for production, on food safety standards, on preferences to small business operators, regarding state agencies forming food safety policy as well as on the novelties in inspection processes.

The booklet was intended for dissemination among villagers and food producers. The booklets were given to self-governing bodies to circulate them in relevant regions.



## კომიტეტის დიალოგი სამოქალაქო სექტორთან – ღია და გამჭირვალე ურთიერთობები: კონფერენცია „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში – ახალი გამოწვევები“

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა კონკურენციის სფეროში პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე მუშაობის რეჟიმში გადაწყვიტა გაემართა ღია, გამჭირვალე და ცოცხალი დიალოგი-დისკუსია ყველა დაინტერესებულ მხარესთან - მთავრობასთან, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობასთან, ბიზნესის წარმომადგენლებთან, მომხმარებლებთან, არასამთავრობო სექტორთან, ექსპერტებთან. ამ საფუძვლით, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტთან ერთად და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით მომზადდა და 2011 წლის 20 დეკემბერს ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში - ახალი გამოწვევები“.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლები და მრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლები, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და პროფესურა, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელიდასხვაწარმომადგენლები,საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის წარმომადგენლები, საგადასახადო ომბუდსმენი, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის, ასოციაციის „ქალი და ბიზნესი“, სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის, ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო“, სოციალურად დაუცველი და ხელმოკლე ოჯახების დახმარების კავშირის „ერი“, საკონსულტაციო მომსახურების ცენტრის, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, ახალი ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტისა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის წარმომადგენლები, ექსპერტები, საინფორმაციო სამსახურების წარმომადგენლები და სხვა.

## DIALOGUE BETWEEN COMMITTEE AND CIVIL SOCIETY – OPEN AND TRANSPARENT RELATIONS: CONFERENCE – “COMPETITION POLICY IN GEORGIA – NEW CHALLENGES”

While working on Competition bills presented before the Parliament the Committee decided to perform open, transparent and lively dialogue and discussion with all interested parties – the Government, EU delegation to Georgia, representatives of business sector, consumers, non-Governmental sector, experts. For reaching the goal, the Committee together with TSU Institute for European Studies and Friedrich Ebert Stiftung organized conference – “Competition Policy in Georgia – New Challenges”. Conference was held on 20 December 2012.

Members of the Parliament, Advisors to Prime-Minister, representatives of the group of advisors to Prime-Minister, representatives of national Food Agency, representatives of Competition and State Procurement Agency, Rector and academics of Tbilisi State University, Head of EU delegation to Georgia, representatives of Consumers Federation of Georgia, Tax Ombudsman, representatives of Caucasus Institute for Economic and Social Research, Association “Woman and Business”, Institute of Strategy and Development, Foundation “Open Society Georgia”, “Eri” Union of Socially non protected and poor families, Center of Consultation and Service, Georgian Association of Consumers, New Economic School, Representatives of TSU Institute for European Studies and the Committee on European Integration, experts, representatives of information offices and other institutions participated in the conference.

Everyone could have a chance to participate in a lively discussion. All comments and proposals were considered by representatives of the Committee on European Integration and TSU Institute for European Studies, as a consequence relevant legislative norms and recommendations were prepared and presented to the Government. The working format of the conference has shown itself as effective way to invite civil service in an open, transparent and honest dialogue with supreme legislative body.





კონფერენციაზე გაჟღერდა ყველა სეგმენტის ხმა. შენიშვნები და წინადადებები ჩანიშნულ იქნა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თანამშრომლებსა და თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტების მიერ, რომლებმაც დაამუშავეს ისინი კონკრეტული სამართლებრივი ნორმების სახით. შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინა საქართველოს მთავრობას.

კონფერენციის მუშაობა აღმოჩნდა ნაყოფიერი, რამეთუ ის იყო ერთგვარი ახალი ფორმა და ტრადიცია კანონპროექტებზე მუშაობისას საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან სამოქალაქო სექტორთან ღია, გამჭირვალე და გულწრფელი დიალოგის გამართვისა.



## ახალი კანონები – ახალი გამოწვევები – ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების პროცესი

## NEW LAWS – NEW CHALLENGES – PROCESS OF LEGAL APPROXIMATION TO EU

მერაბ აბდალაძე
თსუ მოწვეული პროფესორი; შავი ზღვის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი; პროექტის ექსპერტი თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მხრიდან

MERAB ABDALADZE
Invited Professor at TSU; Invited Professor at Black Sea University; Expert of the Project from TSU Institute for European Studies



ბაზრების დერეგულირება და კერძო სექტორში მზარდი კონკურენციის განვითარება მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ღრმა ინტეგრაციის ფონზე - სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა მთავრობის მიერ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ ახალი კანონის შემუშავება, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ეროვნულ ეკონომიკაში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის არსებულ ბარიერებს, უზრუნველყოფს ბაზარზე ეკონომიკური აგენტების თავისუფალ დაშვებას, ზღუდავს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციული რეგლამენტების შემოღებას, იცავს ჩვენი საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკურ ინტერესებს. იგი წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი

ვაჭრობის ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. საერთაშორისო თუ ეროვნული ექსპერტების უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ წინა, 2005 წელს მიღებულ ანალოგიურ კანონთან შედარებით ახალი საკანონმდებლო აქტი უფრო კომპლექსური იურიდიული დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს არა მარტო სახელმწიფო დახმარებისა და მიზნობრივი პროგრამების საკითხებს, არამედ უშუალოდ თავისუფალი ვაჭრობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პრობლემატიკასაც. იგი ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის გახსნილობას საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ დადებითი ეკონომიკური ეფექტების გარდა გააჩნია აგრეთვე სერიოზული საფრთხეებიც. კერძოდ, მთელი სიმძაფრით დგება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, როდესაც საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული საკვების სულ უფრო მნიშვნელოვანი წილი მოდის იმპორტირებულ საქონელზე და ჩვენს მიერ წარმოებული სასოფლო - სამეურნეო პროდუქცია თავის რეალიზაციას ნახულობს საექსპორტო ბაზრებზე. ფაქტია, რომ მიუხედავად ჩვენი ქვეყნის მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში მიღებული მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებისა, ქართულ ბაზარზე ასე ხშირია უხარისხო, ფალსიფიცირებული და მოხმარებისთვის საშიში ადგილობრივი თუ უცხოეთში წარმოებული და იმპორტირებული საკვები. ამდენად, კომპლექსური და ქმედუნარიანი ეროვნული კანონმდებლობის შექმნა სურსათის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას, რასაც ემსახურება ქვეყნის ხელისუფლების მიერ საქართველოს კოდექსის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ მიღება. დამტკიცებული კოდექსი აერთიანებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში 2012 წლის 8 მაისამდე (ანუ ახალი კოდექსის მიღებამდე) მოქმედ ქვეყნის ძირითად საკანონმდებლო აქტებს. აქ მკაფიოდაა გამიჯნული კოდექსის რეგულაციის სფეროში სახელმწიფო კონტროლზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციები, განსაზღვრულია სახელმწიფო კონტროლის ფორმები და მექანიზმები, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის ძირითადი პრინციპები. კოდექსი ახლებურად აყალიბებს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ პირთა ვალდებულებებს და სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ და დისტრიბუტორ ბიზნეს - ოპერატორთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კოდექსი არეგულირებს

Deregulation of the markets and the development of increasing competition in the private sector against the background of deep integration of Georgia into the world economy – those were targets of our government when it worked out the new law on free trade and competition, which substantially decreases new barriers against Free Trade and Competition, securing free entry of economic agents on the market, limits the introduction of discriminative measures from state authorities, protecting our society’s vital and economic interests. It is one of the most important parts of the necessary legislative changes in making a free trade agreement between Georgia and the European Union.

The majority of international and national experts believe it in fair that, vis-a-vis to be terminated analogues law of 2005, - the new legislative act is more complex jurisdictional document, which regulates not only question of state aid and targeted programs, but directly the problems of free trade and unfair competition. It will promote the development of internal, as well as international trade and creation of the healthy competitive environment.

It should be noted that the openness of the country to the international community, side by side with positive economic effects has serious threats as well. In particular, with the whole tension we face the problem of food security, when more and more share of the food consumed by citizens of Georgia comes from imported products and our own agricultural product finds its realization over export markets. This is the fact that in spite of a number of legislative acts adopted by our county for the last 20 years, it’s so often to find defective, falsified and dangerous for consumption domestically or foreign produced and imported food products.

So, the creation of a complex and effective national legislation in terms of food security is an urgent task of the adoption of Georgian Code of “Food/Animal Feed Safety, Veterinary and Plant Protection” by our authorities. Applied Code unifies all major legislative acts on food/animal Feed Safety, Veterinary and Plant Protection, which were adopted before the May 8, 2012 (or before the new Code was adopted). Here it’s clearly demarcated competencies of the state bodies responsible for the oversight of the regulation of the Code, the forms and mechanisms of state control, the basic principles of Food/Animal Feed Safety. The Code newly established the responsibilities of those responsible for the state control and requirements over the Food/Animal Feed producer and distributor business operators. The Code regulates the country’s rural areas – economic issues related to the implementation of quarantine measures.

ქვეყნის ტერიტორიაზე სასოფლო - სამეურნეო კარანტინის ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამგვარად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საკანონმდებლო აქტები: კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ და კოდექსი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს მიერ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების გზაზე. ეს კი სამომავლოდ უვიზო მიმოსვლასა და ევროპასთან თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივას გულისხმობს, რაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ - ეკონომიკური რეფორმირების ხანგძლივი და მტკივნეული პროცესის წარმატებით განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა და ამდენად სასიკეთო შედეგის მომტანია.

Thus, the new legislative acts approved by Georgian Parliament: the law "On Free Trade and Competition" and the Code "Food/Animal Feed Safety, Veterinary and Plant Protection" are undoubtedly steps forward by Georgia on the way of conclusion with the European Union the Deep and Comprehensive Free Trade Agreement. This also means the future prospect of visa-free movement and free economic relations with Europe, which is the necessary precondition for successful implementation of our country's long-run and painful political – economic reforms.



ნათია ლაპიაშვილი
თსუ–ს მოწვეული ლექტორი;
კავკასიის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი;
პროექტის ექსპერტი თსუ ევროპული
კვლევების ინსტიტუტის მხრიდან

NATIA LAPIASHVILI
Invited Professor at TSU; Associated
Professor at Caucasus University; Expert
of the Project from TSU Institute for
European Studies

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საკანონმდებლო აქტები: კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ და კოდექსი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ ემსახურება ქართულ სამართლებრივ სივრცეში ევროკავშირის სამართლით რეგულირებული ორი უმნიშვნელოვანესი სფეროს დანერგვას. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დარგში ქართულ კანონმდებლობაში მოხდა ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ასახვა, როგორიცაა ეფექტურობა (რესურსების ოპტიმალური განაწილების გზით მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა), მცირე მეწარმეთა დაცვა და ბაზრის შეუფერხებელი ფუნქციონირება. კანონი ძირითადად მიმართულია კომპანიებს შორის ანტიკონკურენციული შეთანხმებების, დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებისა და კომპანიათა გაუმართლებელი შერწყმის, ასევე უკანონო სახელმწიფო დახმარებების წინააღმდეგ. ამ ღონისძიებათა მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ხდება მომხმარებელთათვის მოთხოვნადი და ინოვაციური პროდუქციის წარმოება ხელმისაწვდომ, გონივრულ ფასებად, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია სამართლიან კონკურენტუნარიან პირობებში იარსებოს მსხვილი ბიზნესების გვერდით.

რაც შეეხება სურსათის უსაფრთხოების კანონმდებლობას, მისი მიზანია მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და ინტერესების დაცვა და საერთო ბაზრის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ამ მიზნების მისაღწევად ევროკავშირის ფარგლებში უზრუნველყოფილია სათანადო

The recently adopted laws by Georgian Parliament "On Free Trade and Competition" and "Food/Feed Safety, Veterinary and Plant Protection" serve the approximation of Georgian legislation with two highly important fields of the EU Law. In the area of Free Trade and Competition the new Georgian legislation reflects the main principles of the EU policy such as efficiency (the utmost protection of consumer rights via optimal allocation of resources), protection of small and medium enterprises and undisturbed functioning of the market. The law is mainly designed to avoid the anti-competitive agreements, abuse of dominant power, unjustified mergers of the companies and illegal state aid. The aim of such measures is to establish the environment, where the demanded and innovative goods are produced at reasonable and accessible prices, while small and me-

კონტროლის სტანდარტების ჩამოყალიბება და გამოყენება. ეს სტანდარტები უკავშირდება პროდუქტების ჰიგიენურობის, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის, შეფუთვის, სურსათის გამოსაყენებლად უვარგისობის რისკის თავიდან აცილების მოთხოვნებს. ევროკავშირის მიდგომა პროდუქტის უსაფრთხოებისადმი, რომელიც გამოიხატება პოსტულატით - „ფერმიდან მაგიდამდე" ("from the farm to the fork") იძლევა ევროკავშირში პროდუქციის წარმოების, დისტრიბუციისა და რეალიზაციის უსაფრთხოების გარანტიას. ანალოგიურად, "სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ" კოდექსი ემსახურება ამ სფეროში სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს განვითარებას ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული კანონი აწესრიგებს სურსათის/ცხოველის საკვების ფერმერული წარმოებიდან საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მთლიან ჯაჭვს. საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთი უმთავრესი შედეგია პროდუქტის უსაფრთხოების ადექვატური უზრუნველყოფა მოსახლეობისათვის და საბოლოო მომხმარებელთა დაცვა. კანონი შემუშავებულ იქნა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ეგიდით. სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული ვითარების შესახებ სრული სურათის შესაქმნელად, საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებას საფუძვლად დაედო ბიზნეს-ოპერატორთა შესაბამისი გამოკითხვები, რომელიც განხორციელდა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) დახმარებით და პროდუქტის უვნებლობის დარგში ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციებზე დაყრდნობით. ევროკავშირის სამართლებრივ და ინსტიტუციურ მოწყობასთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში რეალურად მოხდა ქართული სასოფლო-სამეურნეო საბაზრო სტრუქტურის თავისებურებების გათვალისწინება.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის გაძლიერების პროექტზე მუშაობის პროცესში ადგილი ჰქონდა მოცემულ ორ სფეროში ევროკავშირის სამართლის საფუძვლიან კვლევას, მათ შორის წევრი ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აუღია ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრული ჰარმონიზაციის ვალდებულება, აღნიშნული აქტების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ევროკავშირის სამართლით დამკვიდრებული ცნებებისა და სტანდარტების მაქსიმალურად ზუსტ ასახვას. მოცემული აქტების მიღება უდავოდ წარმოადგენს ამ სფეროში დღემდე არსებული სამართლებრივი რეგულირების პოზიტიურ განვითარებას, მოიცავს რა პროგრესულ სამართლებრივ მექანიზმებსა და მოწინავე სამართლებრივი სისტემების გამოცდილებას.

dium enterprises can coexist with large businesses in the fairly competitive conditions.

As for the legislation of Food/Feed Safety, veterinary and plant protection, it aims to protect the health and interests of the consumers and ensure free functioning of the market. Within the EU, in order to achieve the mentioned objectives, the relevant controlling standards are applied. Those standards are related to the Food/Feed hygiene, health of animals and plants, requirements of avoiding risk of products' unfitness for use. The approach of the EU with regards to Food/Feed Safety is expressed by the principle "From-Farm-to-Fork" which guarantees safety of production, distribution and marketing of the food/feed within the EU. Similarly, Georgian Code on "Food/Feed Safety, Veterinary and Plant Protection" will serve the development of legal and institutional Framework in this field in accordance with the EU and international standards.

The law in question regulates the whole chain of relationships from Food/Feed production in the farm to the delivery to the final consumer. One of the main results of the act will be to adequately ensure the product safety and protection of the final consumers. The law was elaborated in close collaboration with the Committee on European Integration of Georgian Parliament. In order to create the complete picture regarding current state of agricultural sector, the adoption of the law was based on the inquiries among the relevant business operators, which took place by assistance of the International Financial Corporation (IFC) and in accordance with consultations of the local and international experts of product safety. Indeed, the particularities of the Georgian agricultural market structure were considered as a central part when adapting existing realities with the European legal and institutional framework.

The process of working on the Project "Strengthening the Committee on European Integration" of the Parliament of Georgia involved the in-depth research and analysis of the given two fields of the European Law, including the practical experience of the Member States. Notwithstanding of the fact that Georgia has not undertaken the full harmonization obligation with the EU law, the particular attention was drawn to the precise implementation of the European Law concepts and standards. The adoption of the given two laws truly represents the positive development of the existing legislation, reflecting the progressive legal mechanisms and experience of the advanced legal systems.

საკონტაქტო ინფორმაცია:

თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი
მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. # 3, თსუ მე-2 კორპუსი,
მე-4 სართული, ოფისი 406.
ტელ.: +995 32 2 22 78 99;
ელ. ფოსტა: info.ies@tsu.ge
პროექტის ექსპერტები თსუ ევროპული კვლევების
ინსტიტუტის მხრიდან:
ნათია ლაპიაშვილი
ტელ.: +995 32 2 22 78 99
ელ. ფოსტა: natia_lapiashvili@yahoo.com
მერაბ აბდალაძე
ტელ.: + 995 32 2 22 78 99
ელ. ფოსტა: merabi_me@yahoo.com
ნინო ლაპიაშვილი (კოორდინატორი)
Tel.: + 995 32 2 22 78 99
Email: info.ies@tsu.ge
ნინო ფარსადანიშვილი (კოორდინატორი)
Tel.: + 995 32 2 22 78 99
Email: info.ies@tsu.ge

პროექტის ექსპერტები საქართველოს პარლამენტის
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მხრიდან:
ეკატერინე ქარდავა
მობ.:593277514
რევაზ ჩხეიძე
მობ.: 599460073
ირინა ცერცვაძე (კოორდინატორი)
მობ.: 599560745

Contact Information:

TSU Institute for European Studies
Address: Chavchavadze Avenue #3,
II Building of TSU, 4th Flour, Office 406.
Tel.: + 995 32 2 22 78 99
Email: info.ies@tsu.ge
Exerts from TSU Institute for
European Studies:
Natia Lapiashvili
Tel.: +995 32 2 22 78 99
Email: natia_lapiashvili@yahoo.com
Merab Abdaladze
Tel.: + 995 32 2 22 78 99
Nino Lapiashvili (Coordinator)
Tel.: + 995 32 2 22 78 99
Email: info.ies@tsu.ge
Nino Parsadanishvili (Coordinator)
Tel.: + 995 32 2 22 78 99
Email: info.ies@tsu.ge

Experts from the Committee on
European Integration of the
Parliament of Georgia:
Ekaterine Kardava
Mob.:593277514
Revaz Chkheidze
Mob.: 599460073
Irina Tsertsvadze (Coordinator)
Mob.: 599560745